

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო**

---

ქ. ბათუმი

22 მარტი, 2017 წელი

**და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/28**

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
2017 წლის სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის 2017 წლის სამუშაო გეგმაში თანახმად, №1 დანართისა.

ა) კერძოდ, ორი საჯარო ლექცია გაერთიანდეს და ჩატარდეს აპრილის თვეში. არსებული ბიუჯეტის ფარგლებში დაემატოს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო ლექცია.

ბ) სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის ინდირა ძაგანიას საჯარო ლექციები ჩატარდეს ოქტომბერში, აპრილის ნაცვლად.

გ) ღონისძიებათა გეგმას დაემატოს სექტემბერში თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალზე პროექტის „ანტიკური სამოსი მინოსური კრეტიდან ბიზანტიამდე“ მომზადება - წარდგენა.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს  
თავმჯდომარე

ე. მესხია





**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**  
**პროექტების მართვის განყოფილება**  
**2017 წლის სამუშაო გეგმა**



სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო  
 უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს  
 2017 წლის 22 მარტის № 04-01/28  
 დადგენილების დანართი

№	ღონისძიებების დასახელება	ჩატარების ადგილი	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი შესრულებაზე	დაფინანსება
<b>შემოქმედებითი მუშაობა</b>					
1	პროექტის („ანტიკური სამოსი მინოსური კრეტიდან ბიზანტიამდე“) მომზადება მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალზე წარსადგენად.	თბილისი	სექტემბერი	ქ. ვაჩიშვილი მ. ბაღდადიშვილი ს. თავაძე	(ტრანსპორტირება, კვება)
<b>საჯარო ლექცია</b>					
1	ლატვიის ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტის ინსტიტუტის პროფესორის საჯარო ლექცია - „კულტურული ტურიზმის აქტუალური პრობლემები“	ბხსუ	აპრილი (ოქტომბრის ნაცვლად)	ს. თავაძე ს. ჩიკაშუა	2000 ლარი
2	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის - სერგო ვარდოსანიძის საჯარო ლექცია, - მიძღვნილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი	ბხსუ	აპრილი	ს. თავაძე	400 ლარი
3	სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის ინდირა მაგანიას 2 საჯარო ლექცია - „კულტურათაშორისი კომუნიკაციები ტურიზმში“	ბხსუ	ოქტომბერი (აპრილის ნაცვლად)	ს. თავაძე	700 ლარი (აქედან: 200 ლარი - სასტუმრო კვებით; 500 ლარი - ჰონორარი)

სწორია:

ე. მესხია